საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

თორნიკე ბაქრაძე – კოლეგიის თავმჯდომარე

მარიკა არევაძე – კოლეგიის წევრი

ცისმარი ონიანი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – გ. ქ.

საჩივრის ავტორის წარმომადგენელი - გ. ქ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 03.10.2018

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 136/18

ადვოკატი, რომლის მიმართაც არის საჩივარი შემოტანილი – ადვოკატი ე. ს. /სიითი №..../

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ე. ს.-სთვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება და საადვოკატო მომსახურებისთვის გადახდილი თანხის დაბრუნება 1000 (ათასი) ლარის ოდენობით.

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2018 წლის 03 ოქტომბერს ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა გ. ქ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ე. ს.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. 2018 წლის 26 ოქტომბერს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე გ. ქ.-მ და მისმა წარმომადგენელმა გ. ქ.-მ წარმოადგინეს ზეპირი ახსნა-განმარტება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, თბილისის საქალაქო სასამართლოში მისი სახელით წარდგენილი იყო სარჩელი სს „...“-ის მიმართ სარჩოს მოთხოვნის თაობაზე. აღნიშნულ საქმეზე,

სასამართლომ ჩანიშნა მოსამზადებელი სხდომა 2018 წლის 18 მაისს. საჩივრის ავტორმა გ. ქ.-მ 2018 წლის მაისის თვის დასაწყისში (მოსამზადებელი სხდომის გამართვამდე) იურიდიული დახმარებისთვის მიმართა ადვოკატ ე. ს.-ს, რომელსაც უნდა წარმოედგინა მისი ინტერესები მოცემულ სამოქალაქო საქმეზე.

1.3 საჩივრის ავტორის მეუღლემ - გ. ქ.-მ ადვოკატ ე. ს.-ს გადასცა საქმის წარმოებისათვის ყველა საჭირო დოკუმენტაცია. ადვოკატმა ე. ს.-მ შეისწავლა საქმის მასალები და საჩივრის ავტორს და მის მეუღლეს განუცხადა, რომ „ეს საქმე აშკარად მოსაგებიაო".

1.4 საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განმარტებით, ადვოკატ ე. ს.-ს მისმა ქალიშვილმა პირადად გადასცა ხელზე თანხა - 1000 ლარი, რაზეც მან თავის შვილს უსაყვედურა, რადგან თანხის გადაცემის დამადასტურებელი მტკიცებულება ადვოკატს მისთვის არ გადაუცია.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, მან ადვოკატს მოსთხოვა პროცესის გადადება, იმ მიზნით, რომ წარდგენილ სარჩელში „შეცდომები" გასწორებულიყო. 2018 წლის 18 მაისს გ. ქ.-მ ადვოკატ ე. ს.-ის სახელზე გააფორმა მინდობილობა. ამავე დღეს თბილისის საქალაქო სასამართლოში გაიმართა მოსამზადებელი სხდომა, სადაც გ. ქ.-ის ინტერესებს წარმოადგენდა ადვოკატი ე. ს., რომელმაც სხდომაზე წარადგინა განცხადება (შუამდგომლობა) სარჩელის გამოხმობის თაობაზე. სასამართლომ დააკმაყოფილა აღნიშნული შუამდგომლობა და განუხილველად დატოვა №2/XXXXX-17 სამოქალაქო საქმე. ამასთანავე, დაადგინა, რომ გ. ქ.-ს უნდა დაბრუნებოდა მის მიერ წარმოდგენილი სარჩელი და თანდართული დოკუმენტები.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, ვინაიდან მას არ დაკავშირებია ადვოკატი ე. ს., თავად მივიდა მის ოფისში და მოითხოვა როგორც დოკუმენტების გადაცემა, ასევე, საადვოკატო მომსახურების გაწევისთვის გადახდილი თანხის - 1000 (ათასი) ლარის უკან დაბრუნება, ვინაიდან მას ადვოკატისთვის არ უთხოვია სასამართლოდან გამოეთხოვა მისი საქმის მასალები, რის თაობაზე ადვოკატმა ე. ს.-მ განუცხადა, რომ მან სარჩელის გამოხმობით „საქმის წაგებას გადაარჩინა", არ აპირებდა ჰონორარის უკან დაბრუნებას და მის მიერ გაწეული მომსახურებისთვის უფრო მეტი ეკუთვნოდა, რის შემდგომაც, გ. ქ.-მ უთხრა, რომ ის „თაღლითი" იყო, რაზეც ადვოკატმა საჩივრის ავტორს და მასთან ერთად მყოფ მის მეუღლეს - გ. ქ.-ს ხმამაღალი ტონით მიაყენა შეურაცხყოფა, მოუწოდა „ეხლავე გაეთრიეთ აქედანო" და მათკენ იწევდა საჩხუბრად.

1.7 საჩივრის ავტორის განცხადებით, მისი პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარის - სს „..."-ს მთავარი ბუღალტერი იყო ე. ს.-ის ნათესავი. შესაბამისად, აღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატმა ე. ს.-მ სუბიექტურად მიიღო კლიენტის ინტერესების საზიანო გადაწყვეტილება და გამოიხმო სარჩელი.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 2018 წლის 19 ოქტომბერს ადვოკატმა ე. ს.-მ ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება რომლის თანახმადაც, 2018 წლის მაისის თვეში მას მიმართა გ. ქ.-ის მეუღლემ - გ. ქ.-მ, რომელიც ითხოვდა ადვოკატს მიემართა საჩივრით პროკურატურისთვის ადვოკატებისა და საჯარო მოხელეების წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მიზნით. ადვოკატმა ე. ს.-მ უარი განაცხადა ზემოაღნიშნული საადვოკატო მომსახურება გაეწია გ. ქ.-სთვის, მათ შორის

კოლეგების წინააღმდეგ შეეტანა საჩივარი პროკურატურაში, ამასთან, გ. ქ.-ის მეუღლის მიერ არ იყო ადვოკატისთვის წარდგენილი ბრალეულობის დამადასტურებელი მტკიცებულებები.

2.2 ადვოკატის განცხადებით, გ. ქ.-ის მეუღლემ კვლავ მიმართა მას კონსულტაციისთვის, რაც ეხებოდა გ. ქ.-ის სახელით თბილისის საქალაქო სასამართლოში წარდგენილ სარჩელს სამოქალაქო საქმეზე, რომლის გაცნობის შემდგომ, ადვოკატმა განუმარტა, რომ სარჩელი იყო დაუსაბუთებელი და შესაბამისად უპერსპექტივო და უარი განაცხადა სასამართლოში წარმომადგენლობის განხორციელებაზე, თუმცა ადვოკატთან შეხვედრებზე კვლავ მივიდა გ. ქ.-ის მეუღლე, აგრეთვე, მისი ქალიშვილი და საბოლოოდ, ადვოკატი შეუთანხმდა გ. ქ.-ს, რომ ის მხოლოდ ერთჯერადად წარმოადგენდა მის ინტერესებს, როგორც მისი მარწმუნებელი თბილისის საქალაქო სასამართლოში, მოსამზადებელი სხდომის ეტაპზე, იმ მიზნით, რომ გამოეხმო გ. ქ.-ის მიერ წარდგენილი სარჩელი.

2.3 ადვოკატ ე. ს.-ის განცხადებით, მან გ. ქ.-ს ასევე, განუმარტა, რომ მის მიერ სასამართლოში არ იყო წარდგენილი ის მტკიცებულებები, რომლის საფუძველზეც დაასაბუთებდა თავის მოთხოვნას და დიდი ალბათობით სასამართლო მიიღებდა მის წინააღმდეგ გადაწყვეტილებას, ამასთან, სარჩელის გამოთხოვა მას არ უკრძალავდა შესაბამისი მტკიცებულებების შეგროვების შემდეგ, სასამართლოსთვის ხელმეორედ მიმართვას.

2.4 სარჩელის გამოხმობის შემდგომ, ადვოკატი ე. ს. ჯანდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი ორგანიზაციების მეშვეობით შეეცდებოდა იმ დოკუმენტაციების მოძიებას, რომელიც არ იყოს ჯანდაცვის სამინისტროს ელექტრონულ ბაზაში, ასევე მოიძიებდა საქმისთვის საჭირო სხვა დოკუმენტაციას, რომელსაც წარადგენდა ჯანდაცვის სამინისტროში ელექტრონულ ბაზაში დაფიქსირების მიზნით.

2.5 2018 წლის 18 მაისს, თბილისის საქალაქო სასამართლოში, მოსამზადებელ ეტაპზე გამართულ სასამართლოს სხდომაზე ადვოკატ ე. ს.-ის, როგორც გ. ქ.-ის წარმომადგენლის მიერ სარჩელის გახმობის თაობაზე დაყენებული შუამდგომლობა სასამართლომ დააკმაყოფილა.

2.6 ადვოკატის განმარტებით, მოსამზადებელი სხდომის გამართვის შემდგომ, გახდა მისთვის ცნობილი, რომ გ. ქ.-ის პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარის - სს „...“-ის ბუღალტრად მუშაობდა მისი მოგვარე, თუმცა მასთან ნათესაური კავშირი არ დგინდებოდა.

2.7 გ. ქ.-მ ადვოკატ ე. ს.-სგან მოითხოვა სასამართლოდან გამოთხოვილი მასალებისა და 1000 (ათასი) ლარის უკან დაბრუნება, ასევე, მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა და ბრალი დასდო თაღლითობაში. ადვოკატმა საჩივრის ავტორს საქმის მასალები დაუბრუნა. ადვოკატის განცხადებით, პირადად გ. ქ.-სგან მას ჰონორარის სახით თანხა არ მიუღია, რაც შეეხება საჩივრის ავტორის ქალიშვილის მიერ თანხის მიღებას, აღნიშნულ საკითხზე შეუძლია მიმართოს პირადად მან. ხოლო, ზეპირ სხდომაზე ადვოკატმა განაცხადა, რომ აღნიშნულ საქმეში არავისგან არ მიუღია თანხა. ადვოკატის განმარტებით, მას ჯერ უნდა მოეპოვებინა საქმის მასალები და მოპოვებული მასალების შესაბამისად მოხდებოდა გაცემული საადვოკატო მომსახურებისა და ჰონორარის თაობაზე შეთანხმება, თუმცა შეთანხმებამდე მოხდა მინდობილობის გაუქმება.

2.8 ადვოკატის განცხადებით, გ. ქ.-ს მისგან ჰქონდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ის იყო სისხლის სამართლის სპეციალიზაციის მქონე ადვოკატი და მის ინტერესებს წარმოადგენდა მხოლოდ ერთხელ სასამართლოში, როგორც მისი მარწმუნებელი.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ე. ს. არის ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრი /სიითი №..../, სპეციალიზაცია – სისხლის სამართალი. ს.ს.ი.პ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე, არ არის გარიცხული ადვოკატთა ასოციაციიდან.

3.2 გ. ქ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2018 წლის 03 ოქტომბერს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2018 წელს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32–ე მუხლის მე–2 პუნქტის საფუძველზე, არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისათვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ე. ს.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების“ 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზიები გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა ე. ს.-მ შეთანხმების შესაბამისად, არ გაუწია საჩივრის ავტორს საადვოკატო მომსახურება, ადვოკატმა იმოქმედა მისი ინტერესების საწინააღმდეგოდ და მასთან შეუთანხმებლად თბილისის საქალაქო სასამართლოდან გამოიხმო სარჩელი და მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა.

5.2 ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატის მიერ შემდეგი ნორმების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი: ,,ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა განახორციელოს წარმომადგენლობა“.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილი: „ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ“.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლი: ,,ადვოკატისადმი კლიენტის ნდობა ეფუძნება ადვოკატის პირად ღირსებას, პატიოსნებას, შეუვალობას, კომპეტენტურობასა და მიუკერძოებლობას. ადვოკატმა არ უნდა იმოქმედოს ისე, რომ ეჭვქვეშ დააყენოს მისდამი კლიენტის ნდობა. აღნიშნული თვისებები ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა“.

5.3 ადვოკატს კლიენტთან შეთანხმების შემდგომ, წარმოეშობა პროფესიული პასუხისმგებლობა დაიცვას ეთიკური ვალდებულებები, მათ შორის კვალიფიციურად განახორციელოს იურიდიული მოქმედებები, რისთვისაც მიმართავს მას კლიენტი. ადვოკატის მიერ მასზე მინდობილი საქმის სრულყოფილად და კეთილსინდისიერად წარმოება შეუძლებელია კლიენტის ინფორმირების ვალდებულების დაცვის გარეშე.

5.4 საპროცესო კოლეგიის განმარტებით, ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, მოიქცეს წინდახედულად, გონივრულ ფარგლებში განსაზღვროს მისი პროფესიისთვის დამახასიათებელი რისკი, გაითვალისწინოს კლიენტის ინტერესები, ობიექტურად შეაფასოს თავისი უფლებამოსილებისა და კვალიფიკაციის თანხვედრა კლიენტის ინტერესებთან და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღოს გადაწყვეტილება საადვოკატო საქმიანობის გაწევასთან დაკავშირებით. ამასთან, საქმის მიმდინარეობის თაობაზე ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება მოიცავს ადვოკატის მიერ მისი უფლებამოსილების (სპეციალიზაციის) თაობაზე კლიენტის ინფორმირებასაც, იმ სამართლებრივი შედეგების განმარტებას, რაც დაკავშირებული იქნება შეთანხმებულ საქმეზე კონკრეტული სპეციალიზაციის არქონასთან. აღნიშნული ინფორმაცია ადვოკატმა კლიენტს შეთანხმების ეტაპზე უნდა მიაწოდოს, იმისათვის რომ კლიენტმა გადაწყვიტოს რამდენად მისაღებია მისთვის არასპეციალიზირებული ადვოკატის იურიდიული მომსახურება.

5.5 ეთიკის კომისიამ 2014 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილებაში საქმეზე 052/13 განმარტა, რომ ,,ადვოკატს ევალებოდა საკუთარი სტატუსის შესახებ ინფორმაციის ფლობა, გადამოწმება, ამის თაობაზე კლიენტის დროული ინფორმირება. ეს საჭიროა იმისთვის, რომ ამ უკანასკნელმა მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა საკუთარი ინტერესების დასაცავად და თავიდან აირიდოს ადვოკატის გარეშე საქმისწარმოების რისკი.“

5.6 ადვოკატ - კლიენტის ურთიერთობა ნდობის პრინციპს ემყარება. ადვოკატს, რომელსაც საკუთარი ნებით ირჩევს კლიენტი, ნდობას უცხადებს ისეთი პროფესიული თვისებების გამო, როგორიცაა ადვოკატის პირადი ღირსება, პატიოსნება, შეუვალობა, კომპეტენტურობა და დამოუკიდებლობა. კლიენტს ადვოკატის პიროვნული და საქმიანი თვისებების გათვალისწინებით უყალიბდება იმის რწმენა, რომ ადვოკატი კეთილსინდისიერად მიუდგება მისდამი მინდობილ საქმეს და დაიცავს მის ინტერესებს. ნდობის პრინციპის დაცვა შეუძლებელია კლიენტისადმი პატივისცემისა და მისდამი მორალურ-ზნეობრივი ნორმების დაცვის გარეშე. ადვოკატის მიერ კლიენტისადმი ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფით, ილახება კლიენტის უფლებები და თავისთავად, კლიენტს ეკარგება ადვოკატისადმი ნდობა. ნდობის პრინციპი ვერ იქნება დაცული იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატი, რომელიც კლიენტის ინტერესების გამტარებელი უნდა იყოს, მისდამი უარყოფით დამოკიდებულებას გამოავლენს, არ დაიცავს მორალურ-ზნეობრივ პრინციპებს, გამოიჩენს მისდამი უპატივცემულობას, მათ შორის მიაყენებს ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას.

5.7 მოცემულ შემთხვევაში, ირკვევა, რომ საჩივრის ავტორმა ადვოკატ ე. ს.-ს მიმართა იმ ეტაპზე, როდესაც მას უკვე წარდგენილი ჰქონდა სამოქალაქო სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოში და უნდა ჩანიშნულიყო მოსამზადებელი სხდომა. ადვოკატი ე. ს. განმარტავს, რომ თავდაპირველად მასთან მივიდა გ. ქ.-ის მეუღლე და მოსთხოვა სისხლის სამართლის საქმის თაობაზე საადვოკატო მომსახურების გაწევა, თუმცა ადვოკატმა უარი განაცხადა აღნიშნულზე, რადგან საჩივარი უნდა წარედგინა თავისი კოლეგების წინააღმდეგ. ადვოკატი განმარტავს, რომ საჩივრის ავტორი ინფორმირებული იყო მისი სპეციალიზაციის შესახებ და შესაბამისად, შეუთანხმდა საჩივრის ავტორს, რომ მის ინტერესებს, როგორც მისი მარწმუნებელი, წარადგენდა სასამართლოს მოსამზადებელი სხდომის ეტაპზე სარჩელის გამოხმობის მიზნით და შემდგომ, დაეხმარებოდა დოკუმენტაციის შეგროვების ნაწილში. მოცემულ შემთხვევაში, კოლეგია

აღნიშნავს, რომ ინფორმირების ეთიკური ვალდებულებიდან გამომდინარე, აღნიშნული ვალდებულების შესრულების მტიცების ტვირთი ადვოკატს - ამ შემთხვევაში, ე. ს.-ს აწევს, თუმცა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობიდან გამომდინარე კლიენტისთვის ზეპირსიტყვიერად მიწოდებული ყველა ინფორმაციის თაობაზე შეუძლებელია ადვოკატს გააჩნდეს წერილობითი მტკიცებულება. მოცემულ შემთხვევაში, არც მხარეთა მიერ წარმოდგენილი პოზიციებით დასტურდება და არც საქმეში არ არის შესაბამისი მტკიცებულება წარმოდგენილი, რომელიც სარწმუნოს გახდიდა, რომ საჩივრის ავტორს არ ჰქონდა ინფორმაცია ადვოკატის სპეციალიზაციის შესახებ. ადვოკატის მიმართ საჩივარში აღნიშნული პრეტენზიები არ გამომდინარეობს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობიდან და შესაბამისად, საპროცესო კოლეგია ვერ შეაფასებს ე. ს.-ის, როგორც მხოლოდ მარწმუნებლის მიერ შესრულებულ საპროცესო მოქმედებებს ეთიკური ვალდებულებების დაცვის ნაწილში.

5.8 საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, რომც ყოფილიყო საჩივრის ავტორსა და ე. ს.-ს შორის სახეზე ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა, წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება, ის გარემოება, რომ ადვოკატმა ე. ს.-მ იმოქმედა გ. ქ.-ის ინტერესების საწინააღმდეგოდ და მისი სურვილის წინააღმდეგ გამოითხოვა სარჩელი სასამართლოდან. ადვოკატი უთითებს, რომ საჩივრის ავტორს განემარტა, რომ მისი საქმის თაობაზე წარდგენილი სარჩელი იყო დაუსაბუთებელი, უსაფუძვლო და სარჩელის გამოხმობის შემდგომ, შეეძლო კვლავ მიემართა სასამართლოსთვის დასაბუთებული სარჩელით. საჩივრის ავტორი თავად ადასტურებს იმ გარემოებას, რომ წარდგენილ სარჩელს სჭირდებოდა „შესწორებები“, იყო შესაცვლელი და დასასაბუთებელი, წარსადგენი იყო შესაბამისი მტკიცებულებები.

5.9 მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორი უთითებს, რომ ადვოკატსა და მას შორის მოხდა დაპირისპირება, კერძოდ, მან ადვოკატს უწოდა „თაღლითი“ და საპასუხოდ, ადვოკატი მასთან საჩხუბრად იწევდა და ხმამაღალი ტონით მოუწოდებდა - „გაეთრიე აქედან“. აღნიშნულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორს აკისრია მტკიცების ტვირთი, დაასაბუთოს თავისი პრეტენზია მის მიმართ ადვოკატის მიერ შეურაცხყოფის მიყენების ფაქტზე, თუმცა აღნიშნულ გარემოებაზე მხოლოდ მხარეთა პოზიციებია წარმოდგენილი და საქმეში არ მოიპოვება სარწმუნო მტკიცებულებები, მათ შორის მოწმეთა პოზიციები, რომელთა საფუძველზე იარსებებდა ალბათობის მაღალი ხარისხი შეურაცხყოფის მიყენების ფაქტის დასასაბუთებლად.

5.10 საპროცესო კოლეგია საჩივრის ავტორის პრეტენზიაზე, რაც ეხება ჰონორარის სახით ადვოკატის მიერ 1000 ლარის მიღების ფაქტს, აღნიშნავს, რომ საქმის მასალებით არ დგინდება გ. ქ.-ის მიერ ადვოკატისთვის თანხის გადაცემა. ადვოკატი უთითებს, რომ მას ეს თანხა გ. ქ.-სგან არ მიუღია. საჩივრის ავტორის წარმომადგენელი ადასტურებს, რომ ეს თანხა ადვოკატს პირადად მათგან არ მიუღია. საჩივრის ავტორის პოზიციით, ადვოკატს მომსახურების საზღაური მათმა ქალიშვილმა გადასცა ნაღდი ანგარიშსწორებით. ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატისგან თანხის მოთხოვნის ნაწილში საჩივრის ავტორი არ წარმოადგენს უფლებამოსილ მხარეს, ვინაიდან საქმის მასალებით არ დგინდება მის მიერ მომსახურების საზღაურის ადვოკატისთვის გადახდა.

5.11 ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 32-33-ე მუხლებით; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-3, მე-8 მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილებით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების

შესახებ“ დებულების 30-ე მუხლის მე-2 პუნქტით, 31-ე მუხლით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №136/18 ადვოკატ ე. ს.-ის მიმართ /სიითი №..../ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /თორნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი: /მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი: /ცისმარი ონიანი/